საქართველოს პარლამენტი

2024 წლის ივნისის თვის მაკროეკონომიკური გარემოს

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2024
ივლისი

2024 წლის ივნისის თვის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები*

რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი

9.2%

მაისი*

2024 წლის ივნისში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ **2.2%** შეადგინა, ხოლო საბაზო ინფლაცია **1.4%**-ით განისაზღვრა.



იანვარ - მაისში* საქონლის ექსპორტი **9.2%**-ით შემცირდა, ხოლო იმპორტი **0.7%**-ით გაიზარდა.

მაისში* ფულადმა გზავნილებმა **284.3** მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
ევროკავშირის ქვეყნები - **42.5%;**
რუსეთი - **16.9%;**
აშშ - **16.6%;**
სხვა ქვეყნები - **24.0%.**

მაისში*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე გაიზარდა.

ივნისში, წინა თვესთან შედარებით, ლარი აშშ დოლართან **3.9%**-ით, ევროსთან მიმართებით კი **3.6%**-ით გაუფასურდა.

1. რეალური და ფისკალური სექტორი





<u>2024 წლის მაისში* დადებითი ეკონომიკური ზრდა 9.2%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.</u>

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2024 წლის მაისში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 9.2% შეადგინა.

ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი დადებითი წვლილი შეიტანა მშენებლობის, ინფორმაცია და კომუნიკაციის, ტრანსპორტისა და დასაწყობების, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების, აგრეთვე პროფესიულ, სამეცნიერო და ტექნიკურ საქმიანობებთან დაკავშირებულმა დარგებმა.

დღგ-ის საწარმოთა ბრუნვის მაჩვენებელმა 2024 წლის მაისში* 12,822.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 14.1%-ით აღემატება.



<u>2024 წლის ივნისში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ 2.2% შეადგინა.</u>

ივნისში, წინა წლის ივნისთან მიმართებით, ინფლაციის დონე 2.2%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელზე ნაკლები. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ზრდის მიმართულებით გავლენა იქონია, ძირითადად, ფასების დინამიკამ ტრანსპორტზე, განათლებაზე, სასტუმროებზე, კაფეებსა და რესტორნებზე, ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე, აგრეთვე სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე. ივნისში საბაზო ინფლაცია (სურსათის, ენერგომატარებლების, სიგარეტის ფასების გარდა, რომლებიც მაღალი მერყეობით ხასიათდებიან) 1.4%-ით განისაზღვრა.

2024 წლის მაისში* მშპ-ის წლიურმა საპროგნოზო დეფლატორმა 2.7% შეადგინა.







<u>2024 წლის მაისში* ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.</u>

მაისში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 14.5%-ით, ხოლო ხარჯები 8.2%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო სალდო 313.1 მლნ ლარით, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო (ბიუჯეტის დეფიციტი) 119.3 მლნ ლარით განისაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის მაისში* საგადასახადო შემოსავლებმა 1,877.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 15.5%-ით აღემატება. განსაკუთრებით გაიზარდა მოგების გადასახადი (66.9%), სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადები (58.7%) და ქონების გადასახადი (26.5%). ამავე პერიოდში 17.2%-ით შემცირდა იმპორტის გადასახადი. პირდაპირი გადასახადების წილმა მთლიან გადასახადებში 51.1%, ხოლო არაპირდაპირმა გადასახადებმა 48.9% შეადგინა. მაისში*, წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, არაფინანსური აქტივების დადებითი 14.6%-იანი (58.3 მლნ ლარით მეტი) ზრდა დაფიქსირდა.



<u>2024 წლის მაისში*, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე, როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები გაიზარდა.</u>

მაისში*, წინა წლის მაისთან* მიმართებით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემულმა სესხებმა 22.6%-ით მოიმატა და 54.5 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 20.9%-ით, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 24.7%-ით გაიზარდა. კომერციული ბანკების მიერ გაცემულ სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი წინა თვესთან შედარებით 0.89 პპ-ით გაიზარდა და 45.5% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხების ნახევარზე მეტი (53.4%) შინამეურნეობებზე მოდის (შინამეურნეობებზე გაცემული სესხების 85.8% ფიზიკურ პირებზე მოდის, 14.2% კი ინდმეწარმეებზე). შინამეურნეობებზე გაცემული სესხების 36.4% სამომხმარებლო სესხია, ხოლო 64.2% უძრავი ქონებით არის უზრუნველყოფილი.

საქმიანობის სახეების მიხედვით გაცემულ სესხებში, ყველაზე მეტი - 21.3% გაცემულია ვაჭრობის დარგში, 20.6% - მშენებლობის, 17.9% - მრეწველობის, 13.0% - უძრავი ქონებით ოპერაციების, 7.4% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგში.



2. საგარეო სექტორის ინდიკატორები



<u>2024 წლის იანვარ-მაისში*, წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით, საქონლის ექსპორტი და იმპორტი შემცირდა.</u>

კერძოდ, ექსპორტმა 9.2%-ით, ხოლო იმპორტმა 0.6%-ით დაიკლო, რის შედეგადაც სავაჭრო ბრუნვა (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 3.1%-ით შემცირდა და 8,351.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 27.2%-ით განისაზღვრა. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებიდან ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა: ყირგიზეთში (71%), აშშ-ში (89%), ყაზახეთში (14%), უკრაინაში (21%), უზბეკეთში (14%), შვეიცარიაში (23%), ნიდერლანდებსა (176%) და პოლონეთში (34%). ექსპორტი შემცირდა რუსეთში (3%), ბულგარეთში (80%), ჩინეთში (41%), სომხეთში (38%), გერმანიაში (24%), აზერბაიჯანსა (25%) და პერუში (46%) .

იანვარ - მაისში* საექსპორტო საქონლის მიხედვით განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა ძვირფასი მეტალების (206%), ნატურალური ღვინის (36%), სპირტიანი სასმელების (53%), მინერალური წყლების შაქრის გარეშე (25%) და ფეროშენადნობის (22%) ჯგუფებში.შემცირდა აზოტოვანი სასუქების (39%) და მსუბუქი ავტომობილების (7%) საზღვარგარეთ გატანა.



2024 წლის იანვარ - მაისში* ტრანსპორტირების სახეების მიხედვით ექსპორტის უდიდესი ნაწილი, 72.2% საავტომობილო ტრანსპორტირებით განხორციელდა, 18.5% - საზღვაო, 5.2% - საჰაერო, 3.3% კი სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი (მაგისტრალური მილსადენი, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა) სახეების წილმა 0.8% შეადგინა.



იანვარ - მაისში* ტრანსპორტირების სახეების მიხედვით, იმპორტის უდიდესი ნაწილი 48.4% საავტომობილო ტრანსპორტირებით განხორციელდა, 33.9%- საზღვაო, 7.8% - საჰაერო, 6.5% კი სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი (მაგისტრალური მილსადენი, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა) სახეების წილმა 3.4% შეადგინა.



იანვარ - მაისში* საქართველოს ადგილობრივმა ექსპორტმა 1,030.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 15.%-ით ნაკლებია. აღნიშნულ პერიოდში ათი უმსხვილესი ქვეყანა სადაც ადგილობრივი ექსპორტი განხორციელდა იყო: რუსეთი (მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 21.1%), თურქეთი (14.9%), ჩინეთი (9.8%), სომხეთი (5.4%), აზერბაიჯანი (4.2%), შვეიცარია (4.0%), უკრაინა (3.8%), აშშ (3.5%), ყაზახეთი (2.6%), ბულგარეთი (2.5%).

ფულადი გზავნილები **(%)**
მაისი



<u>2024 წლის მაისში* ფულადი გზავნილები შემცირდა.</u>

მაისში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, საქართველოში ფულადი გზავნილები 26.7%-ით შემცირდა და 284.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (გზავნილების მთლიანი ოდენობის 42.5%) და რუსეთი (16.9%) წარმოადგენდნენ. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გზავნილების მოცულობამ მოიმატა: აშშ-დან (23.3%, 8.8 მლნ აშშ დოლარი), იტალიიდან (8.9%, 4.0 მლნ აშშ დოლარი), ირლანდიიდან (32.8%, 1.3 მლნ დოლარი), გერმანიიდან (10.0%, 2.0 მლნ აშშ დოლარი), ისრაელიდან (20.3%, 3.7 მლნ აშშ დოლარი), ყირგიზეთიდან (4.7%, 0.2 მლნ აშშ დოლარი) და სხვა.

ამავე პერიოდში ფულადი გზავნილების ჩარიცხვა შემცირდა: რუსეთიდან (26.7%, 103.5 მლნ აშშ დოლარი), ყაზახეთიდან (43.4%, 8.7 მლნ აშშ დოლარი), თურქეთიდან (41.2%, 6.0 მლნ აშშ დოლარი), სომხეთიდან (37.8%, 0.6 მლნ აშშ დოლარი) და სხვა.

მთლიანი საერთაშორისო რეზერვები
(მლნ აშშ დოლარი)



<u>2024 წლის ივნისში საერთაშორისო რეზერვებმა 4,581 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.</u>

ივნისში საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 4,581 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 2023 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 9.6%-ით, ხოლო წინა თვესთან მიმართებით 0.41%-ით ნაკლებია.

2024 წლის ივნისში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ლარის გაუფასურების საპასუხოდ სავალუტო აუქციონზე 60.0 მლნ აშშ დოლარი გაყიდა.

რეზერვების ადეკვატურობის შესაფასებლად, როგორც წესი, გამოიყენება 3 თვის იმპორტის ჯერადი.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ <u>ბმული .</u>

3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

2024 წლის მაისში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მონეტარული ბაზა გაიზარდა.

მაისში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მონეტარული ბაზა 7.4%-ით გაიზარდა. მათ შორის, მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული 16.1%-ით გაიზარდა, ხოლო სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმართ ვალდებულებები 0.8%-ით შემცირდა.

ფულის M2 აგრეგატმა 24.2%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 21.1%-ს გაუტოლდა. 2024 წლის ივნისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 2.2% შეადგინა.

ფულის მასა და სამომხმარებლო ფასები
%-ლი ცვლილება



2024 წლის მაისის ბოლოს მთავრობის მიერ ემიტირებულმა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნომინალურმა ღირებულებამ 8,612.8 მილიონი ლარი შეადგინა. მათ შორის, 66.6% კომერციული ბანკების მფლობელობაშია, 20.0% - ეროვნული ბანკის, ხოლო 13.5% - სხვა რეზიდენტი და არარეზიდენტი კლიენტების მფლობელობაში (რეზიდენტი - 11.1%, არა რეზიდენტი - 2.4%).

სახაზინო ფასიანი ქაღალდები მფლობელების მიხედვით
(ივნისი)



2024 წლის მაისში*, კომერციული ბანკების მიერ მოზიდულმა დეპოზიტების საერთო მოცულობამ (ნაშთმა) 54,802.1 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 17.9%-ით აღემატება. მათ შორის, ეროვნულ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა 48.9% შეადგინა, შესაბამისად, უცხოურ ვალუტაში დეპოზიტებმა - 51.1%.

2024 წლის მაისის* თვის ბოლოს არსებული მონაცემებით, ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 62.1% იურიდიულ პირებს, ხოლო 37.9% ფიზიკურ პირებს ეკუთვნის.

ანალოგიურ პერიოდში უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 67.0% ფიზიკური პირების საკუთრებაა, ხოლო 33.0% იურიდიული პირების მფლობელობაშია.

დეპოზიტები
(მაისი)



ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 48.7% ვადიანი დეპოზიტებია, 25.4% მიმდინარე ანგარიშები, ხოლო 25.9% მოთხოვნამდე დეპოზიტები.

უცხოური ვალუტის შემთხვევაში ყველაზე დიდი წილი კვლავ ვადიან დეპოზიტებს უკავია (40.0%), შემდეგ მოდის მოთხოვნამდე დეპოზიტები (32.4%) და მიმდინარე ანგარიშები (27.6%).



<u>2024 წლის მაისში*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე გაიზარდა.</u>

მაისში*, წინა თვესთან მიმართებით, დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 1.33 პპ-ით გაიზარდა და 46.7%-ით განისაზღვრა, სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა კი 0.89 პპ-ით მოიმატა და 45.5% შეადგინა.

მაისის თვეში*, წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 0.3%-ით შემცირდა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობამ 5.2%-ით მოიმატა.



2024 წლის მაისში*, სამომხმარებლო სესხების მოცულობამ 10,721.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 29.4%-ით აღემატება. მათ შორის, გრძელვადიანი სესხების წილი 96.5%-ია, ხოლო მოკლევადიანის მხოლოდ 3.5%.



ამავე პერიოდში, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების მოცულობამ 37,147.8 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 25.6%-ით აღემატება. მათ შორის, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების წილი 47.0%-ია, ხოლო უცხოური ვალუტით - 53.0%.



მაისის* ბოლოს არსებული მონაცემებით, რეგიონების მიხედვით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების 62.2% გაცემულია თბილისში, 8.0% იმერეთში, 7.5% აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, 5.7% კახეთში, 4.8% ქვემო ქართლში. სხვა რეგიონებში გაცემული სესხების წილი შედარებით მცირეა.

2024 წლის მაისში*, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.3 პპ-ით, ხოლო სესხებზე 0.1 პპ-ით გაიზარდა.

მაისში* საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 13.0% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 7.4%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის) მაისის* მდგომარეობით 5.6% შეადგინა, 0.22 პპ-ით ნაკლები წინა წლის მაისთან შედარებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის 2024 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით, რეფინანსირების განაკვეთი უცვლელი დარჩა და კვლავ 8.00% შეადგინა.





2024 წლის ივნისში, წინა თვესთან მიმართებით, ლარი როგორც აშშ დოლარის, ასევე ევროს მიმართ გაუფასურდა.

ივნისში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 3.9%-ით, ევროს მიმართ 3.6%-ით, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 3.0%-ით გაუფასურდა. ამავე პერიოდში გაუფასურდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსიც. რაც შეეხება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებას, ივნისში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 7.4%-ით და ევროს მიმართ 6.8%-ით გაუფასურდა, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 29.2%-ით გამყარდა.

ივნისის თვეში პერიოდის საშუალო ლარის გაცვლითმა კურსმა აშშ დოლართან მიმართებით 2.83, ევროსთან მიმართებთ 3.04, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 0.09 შეადგინა.

4. სოციალური სფეროს მიმოხილვა

2024 წლის I კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გაიზარდა.

2024 წლის I კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ნომინალურმა ხელფასმა 1,943.4 ლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 13.2%-ით მეტია (227 ლარით მეტი), ხოლო წინა კვარტალთან მიმართებით - 4.9%-ით ნაკლებია (101 ლარით ნაკლები).

რაც შეეხება დარგების მიხედვით საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ცვლილებას, 2024 წლის I კვარტალში ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ხელფასი დაფიქსირდა საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების დარგში 4,519 ლარის ოდენობით (20.2% წლიური ზრდა), აგრეთვე ინფორმაცია და კომუნიკაციისა (3,957 ლარის ოდენობით, 9.0% წლიური ზრდა) და პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების დარგებში (2,673 ლარის ოდენობით, 12.0% წლიური ზრდა).





2024 წლის მაისის* თვეში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, გაიზარდა როგორც განათლებაზე, ასევე ჯანდაცვაზე გაწეული სახელმწიფო დანახარჯები.

მაისში* განათლებაზე გაწეულმა ხარჯებმა (ფუნქციონალურ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით) 230.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან მიმართებით 20.2%-ით მეტია. ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯები კი 172.4 მლნ ლარით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 18.2%-ით მეტი.

5. რეგიონული მიმოხილვა

<u>2024 წლის ივნისში, რეგიონის ქვეყნებში, თურქეთის გარდა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით მსგავსი დინამიკით ხასიათდება.</u>

კერძოდ, საანალიზო პერიოდში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 71.6% შეადგინა, ხოლო სომხეთში შედარებით მცირე (0.8%) დაფიქსირდა. რაც შეეხება აზერბაიჯანსა და რუსეთს, 2024 წლის მაისის* მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასები, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, აზერბაიჯანში 0.6%-ით, ხოლო რუსეთში 8.3%-ით გაიზარდა.





<u>2024 წლის ივნისის თვეში, რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსები, აშშ დოლართან მიმართებაში გაუფასურდა.</u>

კერძოდ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ივნისში აშშ დოლართან მიმართებით ქართული ლარი (7.4%-ით), თურქული ლირა (28.3%-ით), რუსული რუბლი (5.7%-ით), სომხური დრამი (0.4%-ით) და აზერბაიჯანული მანათი (0.1%-ით) გაუფასურდა.

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შემაჯამებელი ცხრილები

	ივნ 23	ივლ 23	აგვ 23	სექ 23	ოქტ 23	ნოე 23	დეკ 23	იან 24	თებ 24	მარ 24	აპრ 24	მაი 24	ივნ 24
მშპ-ს ზრდის ტემპი (%)	7.7	5.5	5.8	5.1	6.2	5.9	8.3	5.8	9.5	8.2	11.8	9.2	
დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი (%)	6.1	2.9	4.2	3.0	6.0	2.6	4.6	1.4	11.8	8.5	19.1	14.1	
ინფლაცია (%)	0.6	0.3	0.9	0.7	0.8	0.1	0.4	1.4	0.3	0.5	1.5	2.0	2.2
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)	10.5	10.5	10.25	10.00	10.00	10.00	9.50	10,445.9	9.00	8.25	8.25	8.00	8.00
დეპოზიტების დოლარიზაცია (%)	0.48	0.48	0.49	0.48	0.48	0.48	0.49	0.47	0.47	0.47	0.46	0.45	
სესხების დოლარიზაცია (%)	0.45	0.45	0.45	0.45	0.45	0.45	0.45	0.45	0.44	0.45	0.45	0.46	
გაცვლითი კურსი (ლარი)	2.6	2.6	2.6	2.6	2.7	2.7	2.7	2.7	2.7	2.7	2.7	2.7	2.8
გზავნილები (ათასი აშშ დოლარი)	353,171	301,068	287,006	283,878	283,006	292,733	308,286	265,093	266,386	280,934	278,515	284,309	
ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	550	527	493	526	495	482	514	339	465	523	437	511	
იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	1,342	1,324	1,411	1,382	1,361	1,296	1,367	1,099	1,175	1,213	1,394	1,277	
სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)	-792.3	-797.2	-917.7	-856.0	-865.7	-814.1	-852.8	-759.9	-710.4	-690.6	-956.5	-766.7	
საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	5,067	5,436	5,437	5,273	5,119	5,122	5,010	4,853	4,746	4,777	4,814	4,600	4,581
შემოსავლები (მლნ ლარი)	1,878	1,847	1,722	1,821	1,913	1,831	2,122	2,116	1,823	2,384	2,050	2,010	
მიმდინარე ხარჯები (მლნ ლარი)	1,441	1,901	1,269	1,496	1,626	1,581	1,947	1,716	1,676	1,558	1,904	1,697	
კაპიტალური ხარჯები (მლნ ლარი)	496	365	659	616	469	545	1,109	402	420	430	424	459	

ზრდა კლება ცვლილება < 1%

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან



ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან



დოკუმენტი ინტერაქტიულ ფორმატში
შეგიძლიათ იხილოთ

ინტერაქტიული სტატისტიკა (ინფოგრაფიკები)
შეგიძლიათ იხილოთ

საქართველოს პარლამენტი